უმაღლესი განათლების მისაწვდომობის მოდელი

შინაარსი

შესავალი 3

ადგილობრივი კონტექსტის მიმოხილვა 4

სპეციფიკური ჯგუფები და მათი საჭიროებების მოკლე მიმოხილვა 6

საერთაშორისო კონტექსტის მიმოხილვა 12

- ამერიკა 14
- პოლონეთი 19
- ჩინეთი 20
- საბერძნეთი 21
- ნორვეგია 21

მისაწვდომობის ცენტრი და სერვისის ადმინისტრირების საკითხები 23

- მისაწვდომობის ცენტრის მიზნები და ამოცანები: 24
- ცენტრის სტრუქტურა და პროფესიული რესურსი 28
- ტრანზიცია ზოგადიდან უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში 29
- კონფიდენციალობა და ეთიკის საკითხები 32
- ლექტორების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება 33
- ფინანსური მხარე 34

რესურსები და სასარგებლო ბმულები: 38

დანართები 39

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მოდელს. დოკუმენტი მიმოიხილავს, შშმ და სსსმ სტუდენტებისათვის ინკლუზიური უმაღლესი განათლების მიწოდებასთან დაკავშირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობას, ასევე არსებულ გამოცდილებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იგი ასახავს იმ საბაზისო და აუცილებელი სტანდარტების დანერგვის გზებს, რაც საშუალებას იძლევა, მოხდეს შშმ და სსსმ სტუდენტების წარმატებული და ღირსეული ინკლუზია/ჩართვა უმაღლეს განათლებაში. აღნიშნული მოდელი, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ორიენტირებულია შემდეგი ჯგუფებისათვის მისაწვდომი მომსახურების მიწოდებაზე:

- მობილობის შეზღუდვის მქონე პირები
- სმენის შეზღუდვის მქონე პირები
- მხედველობის შეზღუდვის მქონე პირები
- აუტიზმის სპექტრის მქონე პირები
- დასწავლის უნარის დარღვევის მქონე პირები
- ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები.

იგულისხმება, რომ ნებისმიერი ამ თუ სხვა კატეგორიის პირი ირიცხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ქვეყანაში არსებული საგამოცდო წესით. გამოცდების ფარგლებში, აბიტურიენტს აქვს უფლება, მოითხოვოს საგამოცდო გარემოს, მასალის ან დროის აკომოდაცია (ტექნიკური ხასიათის ცვლილებები), თუმცა გამოცდების სირთულე და შინაარსი უნდა იყოს ტიპური განვითარების მქონე

აბიტურიენტებისათვის არსებულის იდენტური. (ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება, თავი I, მუხლი IV, პუნქტი 5)

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფებისა, ინკლუზიური განათლების პრინციპებიდან გამომდინარე, შესაძლოა, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება საჭირო გახდეს სხვა კატეგორიის სტუდენტებთანაც, მაგ., ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლები, მარტოხელა დედები და მისთ. შესაბამისად, დოკუმენტი არ ზღუდავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, იმის განსაზღვრაში, თუ კონკრეტულად რომელ სსსმ ჯგუფს მიუსადაგებენ ქვემოთ აღწერილ მომსახურებას, საჭიროებიდან გამომდინარე.

ადგილობრივი კონტექსტის მიმოხილვა

საქართველოში 2006 წელს დაიწყო ინკლუზიური განათლების საპილოტე პროექტი თბილისის 10 საჯარო სკოლაში. პროექტს ახორციელებდა იმ დროისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით. ამ დრომდე, ქვეყანაში არსებობდა ინკლუზიური განათლების მხოლოდ მცირე მცდელობები, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებდნენ კონკრეტულ სკოლებთან ერთად. 2009 წლიდან, ინკლუზიური განათლება ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა. ამავე პერიოდიდან გაჩნდა ჩანაწერი კანონში ზოგადი განათლების შესახებ, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ყველა საჯარო სკოლა ვალდებული გახდა, ჩაერიცხა სსსმ ან შშმ მოსწავლე და მიეწოდებინა მისთვის ადექვატური საგანმანათლებლო მომსახურება(საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, II თავი, მუხლი 7, პუნქტი 3). მოგვიანებით, 2013 წლიდან დაინერგა ინკლუზიური განათლება პროფესიული განათლების საფეხურზე. (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, თავი V, მუხლი 23, პუნქტი 1ი)

დღესდღეობით, ინკლუზიური განათლება ინერგება, როგორც ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურებზე, ასევე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, 2018 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, არსებობს მხოლოდ ცალკეული უნივერსიტეტების კერძო პრაქტიკა, რომელსაც ინსტიტუციური ხასიათი არ აქვს. დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობს ერთიანი, მკაფიო ხედვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაწვდომობის მომსახურების შესახებ, ზოგიერთ უნივერსიტეტში, დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე, გაჩნდა იდეა, შექმნილიყო ინკლუზიური განათლების კოორდინატორი. კოორდინატორი პასუხისმგებელია, შშმ და სსსმ სტუდენტებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფაზე, ასევე სასწავლო

მასალების მისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, ლექტორების ინფორმირებაზე და სწავლის პროცესში გამოვლენილი ბარიერების აღმოფხვრაზე. საკანონმდებლო ბაზა და რეგულაციები, ამ მიმართულებით, საჭიროებს დახვეწასა და მოდიფიცირებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის წესი ავალებს ავტორიზაციის მაძიებლებს, მათ კუთვნილებაში არსებული შენობების საქართველოს მთავრობის #41-ე დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნული დადგენილება აწესებს შშმ პირებისთვის შენობა-ნაგებობების მოწყობის ტექნიკურ რეგლამენტს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რეგლამენტი მეტწილად ორიენტირებულია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების საჭიროებებზე და უმეტეს შემთხვევებში, ვერ პასუხობს სხვა კატეგორიის შშმ პირთა საჭიროებებს. ამასთან, იგი მხოლოდ ნაწილობრივ არის თანხვედრაში გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით განსაზღვრულ უნივერსალური დიზაინის პრინციპებთან. კონვენციის რატიფიცირება საქართველოში, 2014 წლის იანვარში მოხდა. იგი ძალაში 2014 წლის აპრილში შევიდა. მისი მიხედვით: ‘‘„უნივერსალური დიზაინი” – გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც

ყველა ადამიანს აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე. უნივერსალური დიზაინი" არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების გამოყენებას.'' (გაერთიანებული ერების კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ 2006).

წინამდებარე მოდელის შექმნის პროცესში, 2018 წლის ნოემბერში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით ააიპ ''მარიანის'' მიერ ჩატარდა კვლევა ''შშმ და სსსმ სტუდენტების ინკლუზიაში არსებული ბარიერების გამოვლენა''. კვლევის ფარგლებში, დაიგეგმა ფოკუსჯგუფები და პირისპირ ინტერვიუები, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, ასევე სსსმ სტუდენტებთან. მკვლევრებმა შეისწავლეს და გააანალიზეს ის სირთულეები, რასაც ერთი ან მეორე ჯგუფის წარმომადგენლები აწყდებიან უმაღლესი განათლების მიღებისა თუ მიწოდების პროცესში. ამასთან, გამოიკვეთა პრობლემების გადაჭრისა და ბარიერების აღმოფხვრის გზებიც. გარდა ამისა, პროცესში შევისწავლეთ საერთაშორისო გამოცდილება ამ კუთხით, დამუშავდა სხვადასხვა ქვეყნის ინკლუზიური უმაღლესი განათლების მოდელი და რეგულაციები. კვლევის ანალიზზე დაყრდნობითა და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, მოდელი გთავაზობთ ინკლუზიური განათლების მიწოდების ეფექტიან გზებს.

სპეციფიკური ჯგუფები და მათი საჭიროებების მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე ქვეთავი მოკლედ აღწერს იმ შშმ და სსსმ სტუდენტების ჯგუფებსა და მათ საჭიროებებს რომლებიც ამ დოკუმენტში განხილული განვითარებული ქვეყნების მაგალითზე მიიჩნევა, როგორც ყველაზე მოწყვლადი, უმაღლესი

განათლების საფეხურზე. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ასე განმარტავს: მოსწავლე, რომელსაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები აქვს, ვერ ასრულებს შესაბამისი კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005, მუხლი 2.)

ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია შემდეგნაირად განმარტავს: ''შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში.'' (გაერთიანებული ერების კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ 2006).

თავის მხრივ, **ფიზიკური დარღვევის** მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, სხვადასხვა ხარისხის მობილობის შეზღუდვით. ისინი, შეიძლება სარგებლობდნენ ეტლით, იყენებდნენ ხელჯოხ(ებ)ს, გადაადგილებისათვის დამხმარე სხვა საშუალებას ან სულაც არაფერს.

სენსორული დარღვევის მქონე პირთა კატეგორიაში ერთიანდებიან მხედველობის და / ან სმენის დარღვევის მქონე პირები. როგორც სმენის, ასევე მხედველობის დარღვევა შესაძლოა ვლინდებოდეს სხვადასხვა ფორმით და ხარისხით, იყოს ნაწილობრივ დაქვეითებული ან სრული უსინათლობა/სიყრუე. ასევე შესაძლებელია ზოგიერთ სტუდენტს ჰქონდეს სმენის და მხედველობის დარღვევა ერთდროულად, მაგრამ სხვადასხვა ხარისხით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების სირთულიდან გამომდინარე, **ინტელექტუალური დარღვევის** მქონე პირების ძალიან მრავალფეროვანი ჯგუფიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე შესაძლოა სწავლა განაგრძონ მხოლოდ დასწავლის უნარის დარღვევის მსუბუქი ფორმის მქონე პირებმა. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური ზღვრის და უნივერსიტეტების მიერ დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის მიუხედავად, უკვე უნივერსიტეტში სწავლისას მათ შესაძლოა წარმოეშვათ სირთულეები წაკითხული ტექსტის გაგების, წერის ან არითმეტიკული მოქმედებების შესრულების კუთხით.

უმაღლესი განათლების საფეხურზე, ასევე შესაძლოა სწავლობდნენ აუტიზმის სპექტრის მქონე პირები სხვადასხვა საჭიროებით (კომუნიკაციური, ფსიქო-ემოციური, ქცევითი, სენსორული).

ქვემოთმდებარე მოდელი ასევე მოიაზრებს **ფსიქიკური და ფსიქოსოციალური** საჭიროების მქონე პირებს, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ისეთი დროებითი ან მუდმივი მდგომარეობა, რომ საჭიროებდნენ სპეციფიკურ მხარდაჭერას და / ან კონსულტირებას ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, უმაღლესი განათლების დაწესებულებებმა გაითვალისწინონ რამდენიმე ფაქტორი და იზრუნონ იმ ბარიერების აღმოფხვრაზე, რომლებიც ხელს უშლის ყველა სტუდენტისათვის თანაბარ პირობებში განათლების მიღებას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ''შშმ და სსსმ სტუდენტების ინკლუზიაში არსებული ბარიერების გამოვლენა'' ფარგლებში, ამჟამინდელ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ფოკუსჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე მოვახდინეთ ამ ფაქტორების რანჟირება მათი მნიშვნელოვნების მიხედვით. სტუდენტების პრიორიტეტები ასეთია:

- ადმინისტრაციის მზაობა და დამოკიდებულებები;
- სასწავლო მასალები;

- გამოცდებისა და შეფასების სხვა კომპონენტების მისაწვდომობა;
- ლექტორების ცნობიერება, დამოკიდებულებები და მიდგომები;
- მატერიალური ბაზა _ ინფრასტრუქტურა უნივერსიტეტის შენობაში და მის მიმდებარედ, დამხმარე ტექნიკური აღჭურვილობა;
- ინფორმაციის მისაწვდომობა (ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტისა თუ სხვა ელექტრონული სისტემების);
- სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართულობა და სხვა სტუდენტებთან თანასწორი კომუნიკაცია.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ სტუდენტები რანჟირებისას ეყრდნობოდნენ ამჟამად უნივერსიტეტებში არსებულ სიტუაციას და წინ წამოწევდნენ იმ ფაქტორებს, რომლებიც ყველაზე მეტად პრობლემურია მათთვის. მაგალითად, სხვა სტუდენტებთან ურთიერთობას, ამ სქემაში ბოლო ადგილი აქვს მინიჭებული, მაგრამ ეს გამოწვეულია არა მისი დაბალი ღირებულებით შშმ და სსსმ სტუდენტებისათვის, არამედ იმით, რომ ეს საკითხი ყველაზე უკეთ არის მოგვარებული. განვიხილავთ, თითოეულ ფაქტორს თანმიმდევრობით:

ადმინისტრაციის მზაობას და დამოკიდებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი წარმოადგენს ყველა სხვა ბარიერის აღმოფხვრის უპირველეს საშუალებას. უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაცია ყოველ ღონეს უნდა ხმარობდეს შშმ და სსსმ სტუდენტებისათვის თანასწორი, ღირსეული და მათ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფისათვის.

მხედველობის დარღვევის მქონე, ასევე დასწავლის უნარის დარღვევის მქონე სტუდენტებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო მასალის არსებობას ალტერნატიულ ფორმატში. აუცილებელია, სტუდენტს ჰქონდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, მოითხოვოს ტექსტი ელექტრონულად, აუდიო ფორმატში ან ბრაილის შრიფტით. სასურველია, უნივერსიტეტმა შექმნას ალტერნატიული ფორმატის სასწავლო მასალის ერთიანი ბაზა, რომლის გამოყენებასაც შეძლებს

შემდგომში, იდენტური საჭიროების მქონე სხვა სტუდენტი. გასათვალისწინებელია, რომ მასალის სხვადასხვა ალტერნატიულ ფორმატში მომზადებას სხვადასხვა დრო შეიძლება დასჭირდეს.

გამოცდების დროს, გასათვალისწინებელია რიგი ფაქტორები, მაგალითად, შესაძლოა, საჭირო გახდეს სსსმ სტუდენტისათვის ცალკე საგამოცდო ოთახის გამოყოფა, გამოცდის ელექტრონულ ფორმატში _ კომპიუტერით ჩაბარება, საგამოცდო დროის გაზრდა, განათების მორგება და მისთ. საყურადღებოა, აგრეთვე, შეფასების ყველა კომპონენტის მორგება სტუდენტის საჭიროებებზე. აქ არ იგულისხმება შინაარსის გამარტივება, არამედ ფორმის ცვლილება. მაგალითად, სმენის დარღვევის მქონე სტუდენტისათვის, შესაძლოა, მეტად კომფორტული იყოს, დავალების არა პრეზენტაციის ან თხრობის სახით ჩაბარება, არამედ დაწერა. მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტს, შესაძლოა, ესაჭიროებოდეს გაზრდილი შრიფტით დაბეჭდილი ტესტი, დასწავლის უნარის დარღვევის დაქვეითების მქონე სტუდენტმა, შესაძლოა, მოითხოვოს წერითი გამოცდის ნაცვლად, მისი ზეპირად ჩაბარება, ხოლო ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე სტუდენტს შესაძლოა დასჭირდეს ნაკლებად სტრესული, მშვიდი გარემო დავალების წარსადგენად ან წერითი სამუშაოს შესასრულებლად.

ადმინისტრაციის ცნობიერებისა და დამოკიდებულებების მსგავსად, უდიდესი მნიშვნელობა სწორედ ლექტორების მიდგომებს ენიჭება. აუცილებელია, ლექტორი თითოეულ სტუდენტს ინდივიდუალურად მიუდგეს, გაითვალისწინოს მისი ინდივიდუალური საჭიროებები და დაეხმაროს მას, საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებაში. თუმცა უნდა არსებობდეს მკაფიო ზღვარი საჭიროებების გათვალისწინებასა და შეღავათებისგაწევას შორის. სტუდენტისათვის მისაწვდომი მომსახურების მიწოდება არ უნდა მოხდეს შეღავათისგაწევის ან დავალების გამარტივების ხარჯზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების აშენებისა და / ან რემონტისას, გათვალისწინებული უნდა იყოს უნივერსალური დიზაინის

პრინციპები. ხშირ შემთხვევებში, უკვე აშენებული შენობის რემონტისას რთულია უნივერსალური დიზაინის სტანდარტების ზედმიწევნით გათვალისწინება. ასეთ შემთხვევებში, უნივერსიტეტმა უნდა მიმართოს გონივრული მისადაგების პრინციპს და მოაწყოს შენობა თუ მისი მიმდებარე ტერიტორია, ისე, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ყველა ადამიანის საჭიროებები. მიუხედავად იმისა, თუ რა ხარისხით იქნება მოწყობილი ფიზიკური გარემო ან რამდენად მისაწვდომი იქნება სასწავლო მასალები და გამოცდები, სსსმ და შშმ სტუდენტების გარკვეულ ნაწილს ესაჭიროება დამხმარე საშუალებები. სხვადასხვაგვარ დამხმარე საშუალებებს, შშმ ადამიანები იყენებენ სხვადასხვა გარემოში. თუმცა იმ დამხმარე საშუალებების შესყიდვა, რომლებიც სტუდენტებს სწავლის განმავლობაში ესაჭიროებათ, საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივაა. ამგვარი დამხმარე საშუალება შეიძლება იყოს: გამადიდებელი მოწყობილობა, ბრაილის საწერი საშუალებები, თეთრი ხელჯოხი, ყავარჯენი და მისთ. დამხმარე საშუალების შერჩევა და მორგება უნდა მოხდეს, სსსმ სტუდენტისა და შესაბამისი სპეციალისტის მიერ, ერთობლივად.

უნივერსიტეტების უმრავლესობა, დღესდღეობით, აქტიურად იყენებს ელექტრონულ სისტემებს სწავლების პროცესში, სტუდენტებისათვის სიახლეების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, დავალებების ლექტორებისათვის მისაწოდებლად, შეფასების ქულების გასავრცელებლად და ბევრი სხვა მიზნით. სავალდებულოა, რომ უმაღლესი სასწავლებლების მიერ გამოყენებული ყველა ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დავალებების წარსადგენი ელექტრონული სისტემები და მისთ. სრულად მისაწვდომი იყოს სსსმ და შშმ სტუდენტებისთვის. მეტად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს შეეძლოთ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება დამოუკიდებლად. ინფორმაციის მისაწვდომობა გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციით გათვალისწინებულ უფლებას წარმოადგენს.

სტუდენტებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება და სოციალურ ურთიერთობებში ჩართვის შესაძლებლობა ერთ-ერთია იმ ფაქტორთაგან, რაც დადებით გავლენას ახდენს სტუდენტის, როგორც აკადემიურ წარმატებაზე, ასევე მის

ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობაზე. როგორც წესი, სტუდენტები თავად ახერხებენ კომუნიკაციის დამყარებას. მაგრამ შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, საჭირო გახდეს უნივერსიტეტის მხრიდან ჩარევა პრობლემების პრევენციისათვის ან მოსაგვარებლად. მაგალითად, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე სტუდენტს შესაძლოა დიდი სტრესის დროს გაუმწვავდეს მდგომარეობა, რამაც გავლენა იქონიოს მის ურთიერთობებზე, როგორც ლექტორებთან, ასევე სხვა სტუდენტებთან. ამ დროს, მნიშვნელოვანია, სტუდენტების ცნობიერების ამაღლება და მათი სათანადოდ ინფორმირება. აუცილებელია, კონფიდენციალობა მაქსიმალურად იყოს დაცული. გარდა ამ შემთხვევისა, მეტად სასურველია, უნივერსიტეტში, პერიოდულად ტარდებოდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები შშმ და სსსმ ადამიანებთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის არათვალსაჩინო ფორმები, როდესაც რთულია მოახდინო პრობლემის იდენტიფიცირება და იმოქმედო შესაბამისად. ამიტომაც, არათვალსაჩინო შეზღუდვის მქონე სტუდენტები მეტად მოწყვლადები არიან არასათანადო მოპყრობისა და მათი საჭიროებების უგულვებელყოფის მიმართ.

საერთაშორისო კონტექსტის მიმოხილვა

სხვადასხვა ქვეყანაში მისაწვდომობის სერვისი უმაღლესი განათლების საფეხურზე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით და დადგენილებით რეგულირდება, სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ხედვას ეფუძნება და ჩართულობის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება, ხელმისაწვდომობასაც განსხვავებულად უზრუნველყობს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყანას აქვს სახელმწიფო რეგულაციები, რაც ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საერთოა, მაინც ერთი ქვეყნის შიგნით სხვადასხვა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სერვისი განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა არ ეწინააღმდეგება ძირეულ პრინციპებს და

საზოგადო რეგულაციებს. ყველაზე გავრცელებულ რეგულაციებს შორის არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამერიკელთა აქტი (Americans with Disability Act) და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, თითოეული ქვეყნის აქტები ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ და ანტიდისკრიმინაციული კანონები.

სპეციალური საჭიროებების და ინკლუზიური განათლების ევროპული სააგენტო (EUROPEAN AGENCY for Special Needs and Inclusive Education) არის ქოლგა ორგანიზაცია და პლატფორმა, რომელიც აერთიანებს წევრი ქვეყნების განათლების სამინისტროებს (ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ისლანდიას, ნორვეგიას და შვეიცარიას), აზიარებს ელ. რესურსებს, კონფერენციებით და სხვა აქტივობებით ხელს უწყობს ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარებას. წევრები იზიარებენ საერთო ხედვას, თუმცა მოქმედებენ განსხვავებულად. ეს მრავალფეროვნება კი საინტერესოს და სასარგებლოს ხდის თანამშრომლობას. საქართველო ამ ეტაპზე, არ არის პლატფორმის წევრი ქვეყანა, თუმცა ვებ. გვერდი მოიცავს არაერთ სასარგებლო რესურსს, რაც დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საქართველოში, გაზარდონ მისაწვდომობა და შექმნან ინკლუზიური სასწავლო გარემო.

საერთაშორისო გამოცდილებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტექნოლოგიური განვითარება და დამხმარე საშუალებების მრავალფეროვნება, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესებში თუ სტუდენტთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. სხვადასხვა დარღვევის მიმართულებით ყოველწლიურად იმართება გამოფენები, ინტეგრირებული ან ვიწროდ სპეციალიზებული. მაგ. მაშტაბურობით გამოირჩევა 2 გამოფენა. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში _ Abilities Expo, რომელიც აერთიანებს დამხმარე საშუალებებისა და უნივერსალური დიზაინის, ასევე დამხმარე ცხოველების გამოფენას. ევროპის კონტინენტზე კი, აღსანიშნავია მხედველობის დარღვევის მქონე პირთა დამხმარე საშუალებების გამოფენა გერმანიაში, ფრანკფურტში, რომელიც იმართება ყოველი წლის აპრილის

თვეში - sight city. https://atcoalition.org მისამართზე შესაძლებელია წლის განმავლობაში დაგეგმილი კონფერენციების და გამოფენების ჩამონათვალის მოძიება. მისაწვდომობის ცენტრის ჩამოყალიბების პროცესში, თითოეულ უნივერსიტეტს ღირებულ გამოცდილებას შესძენს აღნიშნული გამოფენების სტუმრობა.

ამერიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლესი განათლების მისაწვდომობა ძირითადად რეგულირდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამერიკელთა აქტით (Americans with disability Act), ამას გარდა, თითოეულ შტატში სხვადასხვა საკანონმდებლო დოკუმენტით. განსხვავება მცირე დეტალებშია, დეფინიციის, კლასიფიკაციის და მეთოდოლოგიის დონეზე. ამერიკის შეერთებული შტატები გამოირჩევა მრავალფეროვნების აღიარებით და სრულიად სპეციფიკური სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით რეგულაციების დონეზე. მათ შორის სენსორული დარღვევის იშვიათი და სპეციფიური ფორმები და ფსიქო-ემოციური მდგომარეობები.

თითოეული უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე შესაძლებელია პროცედურული ინფორმაციის მოძიება. მათი უმეტესობა შეიცავს ჩანაწერს იმის შესახებ, რომ სტუდენტის ვალდებულებაა, წინასწარ, სწავლის დაწყებამდე განაცხადოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ და ითანამშრომლოს შესაბამის სამსახურთან. უნივერსიტეტები საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფენ დამატებითი სპეციალისტის ჩართულობას განსაკუთრებით სენსორული დარღვევის მქონე სტუდენტის შემთხვევაში. საჭიროების მიხედვით, ეს სპეციალისტი შეიძლება იყოს: ჟესტური ენის თარჯიმანი, ბრაილის სისტემის სპეციალისტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი სპეციფიკური ცოდნითა და გამოცდილებით და მისთ.

ქვემოთ აღწერილია მხარდაჭერის სერვისის მიღების პროცედურა ამერიკის შეერთებულ შტატებში დელაუეარის შტატის ქალაქ ნიუ ქასლში მდებარე

უილმინგტონის უნივერსიტეტის მაგალითზე 2018-2019 სასწავლო წლის გზამკვლევზე დაყრდნობით.

უილმინგტონის უნივერსიტეტი აქტიურ მხარდაჭერას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის თანაბარი განათლების მიღების შესაძლებლობას და უფლებათა დაცვას. სტუდენტებმა თავად უნდა მიმართონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდამჭერი სერვისის ოფისს (ODS), შეავსონ თვით-იდენტიფიკაციის ფორმა და წარადგინონ საჭირო დოკუმენტაცია, იმისათვის რომ მიიღონ სპეციფიკური მომსახურეობა ან აკომოდაცია. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გზამკვლევს ჯერ კიდევ ტრანზიციის პროცესის გასამარტივებლად. უნივერსიტეტის გზამკვლევი დარღვევების ოთხ ძირითად ჯგუფს გამოყოფს:

1. დასწავლის უნარის დარღვევა - ამ მდგომარეობამ შესაძლოა განაპირობოს სირთულეები კითხვის, ტესტის შესრულების და აკადემიური ინფორმაციის გადამუშავების პროცესში;
2. მობილობის შეზღუდვა ან მხედველობის დარღვევა - სტუდენტები, რომელთაც აქვთ მხედველობის დარღვევით გამოწვეული სირთულეები, გამოწვევები გადაადგილების და მოძრაობის დროს, ასევე სამედიცინო დიაგნოზები (როგორიცაა სიმსივნე, ცერებრული დამბლა და სხვა);
3. სიყრუე/კომუნიკაციის დარღვევები - შესაძლოა სტუდენტი იყოს ყრუ ან სმენადაქვეითებული, ან ქონდეს სირთულეები ექსპრესიული მეტყველებისას, რაც ართულებდეს კომუნიკაციას;
4. ფსიქოლოგიური დარღვევები - სტუდენტები, რომლებსაც აქვთ ფსიქოლოგიური გამოწვევები (მაგ. ბიპოლარული აშლილობა, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი და სხვა)

კანონი უნივერსიტეტისგან მოითხოვს არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისადმი სპეციალურ მიდგომას, არამედ პროგრამებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობის მიცემას. ზოგადსაგანმანათლებლო

სკოლისგან განსხვავებით, უმაღლესი განათლების საფეხურზე არ იწერება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, არ მარტივდება სასწავლო მასალის თუ ტესტების სირთულე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისაწვდომობას და არა წარმატებას.

უნივერსიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის სერვისის დებულებაში განმარტებულია, რომ უნივერსიტეტს კანონი არ ავალდებულებს და ვერ უზრუნველყოფს მედიკამენტების გაცემას, სპეციალურ ტრანსპორტირებას, ინდივიდუალურ ასისტენტს და სხვა პირადი ხასიათის საჭიროებების დაკმაყოფილებას. სტუდენტი ვალდებულია, დაუკავშირდეს სამედიცინო სპეციალისტს, რომელმაც დაადგინა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და უზრუნველყოს საჭირო დოკუმენტაციის გადმოგზავნა. არ შემოიფარგლება ამ ჩამონათვალით, თუმცა ყველაზე ხშირად წარდგენილ დოკუმენტაციას შორისაა:

- კოგნიტური უნარების ფსიქოლოგიური შეფასება სტანდარტიზებული ქულებით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც იდენტიფიცირებულია აკადემიური სიძლიერეები და სირთულეები, საგანმანათლებლო-მეთოდური ტექნიკები და გამოყენებული აკომოდაცია;
- მხედველობის და სმენის შეფასების შედეგები;
- ფსიქიატრიული შეფასების დასკვნები, DSM ან ICD დიაგნოზების მიხედვით;

ამას გარდა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სტუდენტი ავსებს თვით-იდენტიფიკაციის ფორმას, სადაც იგი ნიშნავს, აკომოდაციის თუ რა საჭიროებები აქვს და ასევე აცხადებს თანხმობას, რომ პირადი ინფორმაცია გადაეცეს აკომოდაციის ინსტრუქტორებს.

ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, თუ სტუდენტმა მონიშნა თანხმობის გრაფა პირადი ინფორმაციის გაცემის შესახებ, აკომოდაციის

ინსტრუქტორი უკავშირდება და სწავლის პირველ კვირაში ხვდება სტუდენტს, რათა განიხილონ შესაძლო და საჭირო ხელშეწყობის ფორმები. მათ შორის შესაძლოა იყოს:

- სხვადასხვა მხარდაჭერის სერვისი;
- აუდიტორიაში კონკრეტული ადგილი;
- მეცადინეობების აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გაკეთება;
- ტესტის დასაწერად სხვა სივრცის გამოყოფა;
- ტესტის და სხვა სამუშაოების დროს დამატებითი დრო;
- ლექსიკონის ან გრამატიკული შეცდომების ავტო-კორექტორის (ე.წ. spell check) გამოყენება;
- ჟესტური ენის თარჯიმანი;
- წამკითხველი/ჩანაწერების გამკეთებელი;
- დამხმარე საშუალებების გამოყენება;
- მეცადინეობების დროს მცირე შესვენებების გამოყენება;
- სასწავლო მასალების და ტესტირების ფორმატის ცვლილება; (ტექნიკური და არა შინაარსობრივი)

უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს საშუალებას, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში ითხოვონ დამხმარე ტექნოლოგიები, თუმცა დააბრუნონ ისინი სწავლის დასრულების ან შეწყვეტისას. სერიოზული დაზიანების, დაკარგვის ან ჩაბარების ვადის გადაცილების შემთხვევაში, სტუდენტის ბალანსიდან ჩამოიჭრება ჯარიმა. თხოვება ასევე რეგულირდება წინასწარ დადგენილი წესით, რასაც სტუდენტი ინფორმირებულად აწერს ხელს.

აკომოდაციის ინსტრუქტორი სტუდენტს უთანხმდება ჩანაწერების გაკეთების შესაძლებლობის შესახებაც, თუ სტუდენტს აქვს კონსპექტის გაკეთების სირთულე. როგორც წესი, ჯგუფიდან შეირჩევა ადამიანი კოორდინატორის მიერ, რომელიც გააკეთებს ჩანაწერებს ანაზღაურებით ან მოხალისეობრივად. თუ სტუდენტს სურს ინფორმაცია მისი სპეციალური საჭიროების შესახებ დარჩეს უცნობი, მაშინ ის

ჩანაწერებს მიიღებს კოორდინატორის საშუალებით, თუ არა და პირდაპირ. ჩანაწერების გაკეთების სერვისიც რეგულირდება და წინასწარ ფორმდება საჭირო დოკუმენტაცია ჩანაწესების გამკეთებელს(notetaker), ჩანაწერების მიმღებ სტუდენტს და კოორდინატორს შორის.

რაც შეეხება აუდიო/ვიდეო ჩანაწერების გაკეთებას, ესეც ხდება წინასწარი ინფორმირებულობის საფუძველზე და მკაფიოდ განსაზღვრული პირობებით.

თუ საჭიროა წამკითხველი და/ან ჩამწერი გამოცდების და ტესტირებების დროს, ამ ფუნქციას ასრულებს წინასწარ ინსტრუქტირებული ადამიანი, რომელიც მკაცრად იცავს წესებს, რომ არ მოხდეს პასუხების კარნახი.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს პირადი ასისტენტის სერვისის საფასურის გადახდას, თუმცა თუ სტუდენტს ესაჭიროება და თავად დაფარავს ხარჯებს, საჭიროა ორი კვირით ადრე აცნობოს უნივერსიტეტს მეცადინეობებზე დამატებით ადამიანის დასწრების შესახებ. პირადი ასისტენტი ჯობს იყოს დაქირავებული სპეციალური სააგენტოდან. ასეთ შემთხვევაში სააგენტოს და უნივერსიტეტს შორის ხდება დოკუმენტაციის გაცვლა.

უნივერსიტეტს გზამკვლევში აქვს მოკლე რეკომენდაციების ჩამონათვალი სხვადასხვა გამოწვევების მქონე სტუდენტებისთვის და მითითებული აქვს ყველა საჭირო რეგულაცია.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ამ, ასევე სხვა უნივერსიტეტებს ამერიკის შეერთებულ შტატებში აქვთ დეტალურად გაწერილი პროცედურები თითოეული შესაძლო შემთხვევისთვის და ძალიან კონკრეტული რეგულაციები, მაინც შეიძლება საჭირო იყოს რაღაც განსხვავებული მხარდაჭერის განხორციელება, რისთვის მზაობასაც უნივერსიტეტები გამოხატავენ სარეგისტრაციო კითხვარებში დატოვებული დამატებითი საჭიროების გრაფებით.

პოლონეთი

პოლონეთში, უმაღლესი განათლების მისაწვდომობას, შესაბამისი კანონი არეგულირებს. ამ კანონის მიხედვით, ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მისაწვდომი გარემო და სასწავლო რესურსები ყველა სტუდენტისათვის. პოლონეთის უნივერსიტეტების წარმატებული გამოცდილებებიდან აღსანიშნავია პოზნანის უნივერსიტეტი, რომელიც მისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. მატერიალური რესურსი იხარჯება ფიზიკური გარემოს მოწყობაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე სწავლების პროცესში. უნივერსიტეტი ამაყობს სმარტ ოთახით და ნანო-ტექნოლოგიური აღჭურვილობებით, რომლებიც უზრუნველყოფს სმენის დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების შეთავაზებას. უნივერსიტეტის შშმ პირთა ცენტრი, ყოველთვიურად მართავს ცნობიერების ასამაღლებელ შეხვედრებს სტუდენტებისათვის, სადაც იწვევენ შშმ აქტივისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საკუთარ საჭიროებებზე, გამოწვევებსა თუ მიღწევებზე სასაუბროდ.

საუნივერსიტეტო კამპუსი, ბიბლიოთეკები, აუდიტორიები თუ სხვა სივრცე, მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაყრდნობით.

უნივერსიტეტებში, საჭიროებისამებრ, იწვევენ ან მუდმივ თანამშრომლად ქირაობენ ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს, რომელიც პასუხისმგებელია უსინათლო და მცირემხედველი სტუდენტებისათვის კომპიუტერული პროგრამების სწავლებაზე, ასევე სხვადასხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზე და და წინასაგამოცდო პერიოდში, სტუდენტის კუთვნილი კომპიუტერის შემოწმებაზე, რათა გამოცდის დროს, სტუდენტმა არ გამოიყენოს წინასწარ გამზადებული მასალა.

პოლონეთს, ამგვარ მიდგომას, სხვა ქვეყნების მსგავსად, ევროკავშირში არსებული რეგულაციებიც ავალდებულებს. გარდა უშუალოდ უნივერსიტეტების ბიუჯეტისა, სსსმ და შშმ სტუდენტებისათვის მისაწვდომი და თანაბარი საგანმანათლებლო

გარემოს უზრუნველყოფისთვის, სხვადასხვა ფონდები და საერთაშორისო ორგანიზაციები გამოყოფენ გრანტებს, რასაც პოლონეთი ეფექტიანად იყენებს.

ჩინეთი

ჩინეთის მთავრობას რატიფიცირებული აქვს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, თუმცა ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, ინკლუზიური განათლების მიმართულებით ისინიც დამწყებ ნაბიჯებს დგამენ. ჩინეთის განათლების რეგულაციების მიხედვით, სასკოლო განათლების შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები აბარებდნენ სპეციალიზებულ სასწავლებლებში, რომლებიც არ იძლეოდა უმაღლესი განათლების ხარისხს. 2015 წლიდან კანონში შევიდა ცვლილება ეროვნული გამოცდების ჩაბარების უფლების შესახებ სპეც. სკოლის დამთავრების შემდეგ. კანონში ეს ცვლილება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მზაობას ინკლუზიური სასწავლო გარემოს შეთავაზების თვალსაზრისით.

2018 წელს ჩინეთში ჩატარებულმა კვლევამ ინკლუზიური განათლების შესახებ უმაღლესი განათლების საფეხურზე, ცხადყო, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორები და პედაგოგები) არის ის ძირითადი რგოლი, რომელიც ასრულებს ყველაზე მნიშვნელოვან როლს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის კუთხით. (Zhang et al., 2010; ?h?ez et al., 2018).

ჩინეთის საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით, დასწავლის დარღვევები და ქრონიკული დაავადებები არ შედის შეზღუდული შესაძლებლობის კლასიფიკაციაში. მიმდინარე წლის კვლევის შედეგებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ყველაზე ნაკლებ წარმოსადგენია ფსიქიკური სირთულეების მქონე სტუდენტების ჩართვა, ხოლო ყველაზე ადვილია ქრონიკული დაავადებების

მქონე სტუდენტების განათლების ხელშეწყობა. მათ შემდეგ კი მხედველობის და სმენის დარღვევის მქონე სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა.

ჩინეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებობს, თუმცა არა ყოველთვის და ყველგან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა სერვის ცენტრები.

ამჟამინდელი რეგულაციების მიხედვით, ჩინეთში უმაღლესი განათლება თანაბრად მისაწვდომი უნდა იყოს ყველა ტიპის დარღვევის მქონე სტუდენტისსთვის, თუმცა რეალური სურათი მნიშვნელოვნად განსხვავდება იდეალურისგან.

საბერძნეთი

საბერძნეთის წარმატებული გამოცდილებებიდან აღსანიშნავია ონლაინ კურსი a Massive Open Online Course (MOOC) promoting a disability friendly learning environment, რომელიც შემუშავდა პირაეუს უნივერსიტეტში. კურსი ეხმარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლებს, გაზარდონ შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ჩართულობა აკადემიურ პროგრამებში და ზოგადად აკადემიური პროგრამების მისაწვდომობა.

ნორვეგია

ნორვეგიის გამოცდილებით, უმაღლესი განათლების საფეხურზე ეფექტურია სხვადასხვა სერვისის მიღება იმ ორგანიზაციებისგან, რომელთაც ამა თუ იმ სპეციფიკური მიმართულებით მეტი გამოცდილება აქვთ. სასწავლო მასალების მისაწვდომი ფორმით მომზადებისთვის უნივერსიტეტები მიმართავენ ე.წ. ''აუთსორსინგის'' მეთოდს. ნორვეგიის უნივერსიტეტების სტუდენტები, შეიძლება ითქვას, განებივრებულნი არიან საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით, რასაც ერთი მხრივ განაპირობებს სწორი ხედვის არსებობა, ხოლო მეორე მხრივ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, - მატერიალური რესურსები. არის

შემთხვევები, როდესაც ხდება სტუდენტის ორთოპედიული საჭიროებების გათვალისწინება, მაგ. სპეციალური ორთოპედიული ფეხსაცმელი, სტუდენტის საჭიროებისა და ნორვეგიის კლიმატის შესაბამისი ეტლი და სხვა. უნივერსიტეტების ბაზაზე არსებობს სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოთახი, სადაც სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის შესაძლებელია საგამოცდო მასალის მომზადება, საჭირო რესურსების დასკანერება და მისთ. სამეცადინო ოთახებსა და ბიბლიოთეკებში, ყველა სტუდენტი, სემესტრის დასაწყისში ჯავშნის ადგილს, სურვილისამებრ. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის არსებობს იმავე სივრცეში ან ცალკე ოთახში გამოყოფილი ადგილები, სადაც საჭირო აღჭურვილობაა განთავსებული, მაგ.: სპეციალური მაუსი ხელის მოტორიკის შეზღუდვის მქონე პირებისათვის, ელექტრო გამადიდებელი მცირემხედველთათვის, ეკრანის წამკითხველი ხმოვანი პროგრამა უსინათლოთათვის და სხვ. ყოველი გამოცდის წინ, ის სტუდენტები, რომლებსაც გამოცდის კომპიუტერით ჩაბარება ესაჭიროებათ და საამისოდ საკუთარ ლეპტოპს იყენებენ, უნივერსიტეტის შესაბამის განყოფილებაში წარადგენენ საკუთარ კომპიუტერს იმის შესამოწმებლად, ხომ არ არის მასში ჩაწერილი ისეთი მასალა, რომლის გამოყენებაცაც სტუდენტიგამოცდის მსვლელობისას შეძლებს.

რაც შეეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიერ, საკუთარი საჭიროებების შესახებ უნივერსიტეტისათვის ინფორმაციის მიწოდების პროცესს, ეს უკანასკნელი შემდეგნაირად რეგულირდება: უნივერსიტეტს აქვს სამედიცინო პუნქტი, სადაც ნებისმიერი სტუდენტი იღებს სახელმწიფო სამედიცინო მომსახურებას. სტუდენტი, საკუთარისაჭიროების გამჟღავნებისთანავე, იგი გადამისამართდება სამედიცინო პუნქტის ზოგადი პროფილისექიმთან, რომელიც ამზადებს დასკვნას უნივერსიტეტისათვის. დასკვნაში მკაფიოდ არის განსაზღვრული სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, დარღვევა თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, რისსაფუძველზეც ჩამოთვლილია, თუ რა ტიპის ხელშეწყობა ესაჭიროება მას. ეს ჩამონათვალი შესაძლოა მოიცავდეს, მაგ.: გამოცდაზე

გაზრდილ დროს, გამოცდის კომპიუტერით ჩაბარების საჭიროებას, ჟესტური ენის თარჯიმნის საჭიროებას და მისთ. აღნიშნული დასკვნა წარედგინება შესაბამისი დეპარტამენტის საგამოცდო ცენტრს და / ან უნივერსიტეტის მისაწვდომობის ცენტრს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტისათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფაზე. აღნიშნული დასკვნის არ არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას, მოახდინოს საგამოცდო გარემოსა და მასალის აკომოდაცია სტუდენტისათვის. ამგვარი დასკვნა მოითხოვება ყოველ სასწავლო წელს, განმეორებით. საუნივერსიტეტო მისაწვდომობის ცენტრი, სტუდენტთან გასაუბრებისა და საჭიროების შემთხვევაში, მისი შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს, თუ რა ტიპის ტექნიკური აღჭურვილობა, როგორი ცვლილებები გარემოში და / ან რა ფორმით მიწოდებული სასწავლო მასალა ესაჭიროება ამა თუ იმ სსსმ სტუდენტს.

მიუხედავად მისაწვდომობის მაღალი ხარისხისა, ნორვეგიის უმაღლესი განათლების სისტემას ჯერ კიდევ აქვს გამოწვევა, დროულად უზრუნველყოს სტუდენტთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. ზემოთ აღწერილი სისტემა განაპირობებს მაღალ ხარისხს, თუმცა დელეგირების პროცესის თავისებურებებიდან გამომდინარე, ხელშეწყობის საბოლოო პროდუქტი ზოგჯერ გადავადებულად მიეწოდება სტუდენტს.

მისაწვდომობის ცენტრი და სერვისის ადმინისტრირების საკითხები

მისაწვდომობის ცენტრის სტრუქტურა, მისია, მიზნები და ამოცანები თუ საჭირო პოზიციებზე კვალიფიციურ თანამშრომელთა შერჩევა ყველა უნივერსიტეტს შეუძლია საკუთარი შიდა დებულებით დაარეგულიროს. ამ მოდელის ფარგლებში შემოთავაზებულია ზოგადი ჩარჩო, რომელშიც შესაძლებელია მცირედი ცვლილებები შევიდეს თითოეული უნივერსიტეტის საჭიროებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე.

მისაწვდომობის ცენტრის იდეა ეფუძნება ინკლუზიური საზოგადოების ფილოსოფიას და ხედვას, რომ ყველა სტუდენტს, მიუხედავად იმისა, თუ რა განსხვავებული გამოწვევების, სირთულეების და საჭიროებების წინაშე დგას ის, აქვს უმაღლესი განათლების მიღების თანაბარი უფლება და უნივერსიტეტი არის ადგილი, სადაც ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, კვალიფიციურად მუშაობენ არსებული გამოწვევების იდენტიფიკაციის, პრევენციისა და ინტერვენციის კუთხით.

მისაწვდომობის ცენტრის მისიაა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა შესაბამისი უახლესი მეთოდოლოგიების დანერგვით, ადამიანის უფლებათა პატივისცემით, ეთიკური სტანდარტების დაცვით და ღირსეული მოპყრობით.

მისაწვდომობის ცენტრის მიზნები და ამოცანები:

- შეიმუშაოს კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურის და პროცედურების შესაბამისი გეგმა, რათა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების დროული იდენტიფიცირება;

- შეიმუშაოს შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების გამოწვევების და ინდივიდუალური საჭიროებების დროული და ობიექტური შეფასების ფორმა;

- საჭიროების შეფასების საფუძველზე დაგეგმოს ინდივიდუალური ჩარევა და განსაზღვროს საჭირო სერვისები, მატერიალური თუ ადამიანური რესურსები;

- შეიმუშაოს ტრანზიციის პროცესების (ჩარიცხვა/მობილობა/სტუდენტის სტატუსის აღდგენა) მაქსიმალურად ეფექტიანად მართვის სტრატეგია;

- მოახდინოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირება სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ სტუდენტის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე და კონფიდენციალობის საკითხების გათვალისწინებით;

- იზრუნოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის და სტუდენტების ცნობიერების ამაღლებაზე, დაგეგმოს და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები გონივრული ფორმით და გონივრულ ვადებში;

- მოახდინოს სტუდენტის დროული დაკავშირება საჭირო შიგა თუ გარე სერვისთან, შესაბამისი მატერიალური თუ ადამიანური რესურსის მობილიზება სხვადასხვა ეტაპზე;

- გაუწიოს კონსულტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს არსებული ხელშეწყობის სერვისების შესახებ;

- ხარისხიანი განათლების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით შეასრულოს დამაკავშირებლის და ინფორმაციის გამტარის როლი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს, სხვადასხვა დეპარტამენტს-სამსახურს და სტუდენტს შორის;

- გაუწიოს კვალიფიციური კონსულტაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას არსებული გამოწვევების თანამედროვე გადაჭრის გზების შესახებ;

- საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს დამატებითი სპეციალისტი და/ან რეკომენდაციის მიღების მიზნით მიმართოს იმ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და კონკრეტულ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება (დარღვევის სპეციფიკური ფორმები, განსხვავებული მდგომარეობები, განვითარების თავისებურებები);

- შეარჩიოს აკომოდაციის შესაბამისი ფორმა კონკრეტული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, დაგეგმოს და განახორციელოს მისაწვდომობის გაზრდისთვის საჭირო აქტივობები;

- შეარჩიოს საჭირო დამხმარე საშუალებები და ლობირება გაუწიოს შეძენის/ქირაობის/თხოვების პროცესს;

- ჩაატაროს ფიზიკური გარემოს ანალიზი მისაწვდომობის კუთხით (საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ამ მიმართულებით სპეციალისტები), განსაზღვროს განსახორციელებელი სამუშაოები უნივერსალური დიზაინის და გონივრული მისადაგების პრინციპების გათვალისწინებით და გაუწიოს ლობირება ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის გაზრდის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;

- ჩაატაროს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა რეგულაციების, დებულებების და დადგენილებების ანალიზი, საჭიროების

შემთხვევაში მოახდინოს ცვლილებების შეტანის ინიცირება და ცვლილებების განხორციელების ლობირება;

- მუდმივად იზრუნოს სასწავლო მასალების მისაწვდომი ფორმატით (საკითხავი მასალები აუდიო/ელექტრონული/ბრაილის შრიფტით/გადიდებული შრიფტით; სასწავლო ვიდეოები სურდო თარგმანით/აუდიოაღწერით და სხვა) არსებობის უზრუნველყოფაზე ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით;

- შეიმუშაოს რეკომენდაციები აკადემიურ პროცესებს მიღმა სტუდენტურ აქტივობებში ჩართვის შესახებ და ითანამშრომლოს შესაბამის სამსახურებთან თუ ჯგუფებთან (სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფები, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოები და სხვა);

- შეიმუშაოს რეკომენდაციები სტუდენტური საცხოვრებლის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის გაზრდის და სტუდენტთა სხვა საჭიროებების უზრუნველყოფის შესახებ (ფსიქო-ემოციური და სოციალური);

- შეიმუშაოს შიდა და გარე რეფერირების პროცედურების სტრუქტურა და დოკუმენტაცია. საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს რეფერირება;

- დაუკავშირდეს გამომცემლებს და საავტორო უფლებების მფლობელებს სასწავლო მასალების ხელმისაწვდომი ფორმატით მოწოდების უზრუნველსაყოფად;

- მოახდინოს უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიის გადახედვა და ჰარმონიზება სახელმწიფო კანონმდებლობასთან და სხვა რეგულაციებთან

მიმართებით. ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და განახლებული მეთოდოლოგიების დანერგვა;

ცენტრის სტრუქტურა და პროფესიული რესურსი

მისაწვდომობის ცენტრის თანამშრომლების რაოდენობა, სტრუქტურა და საქმიანობის განაწილება დიდწილად არის დამოკიდებული უმაღლესი სასწავლებლის ზომაზე, სტუდენტების რაოდენობაზე, შიდა ადმინისტრირების მექანიზმებზე და სხვა თავისებურებებზე, რომლებიც სრულიად განსხვავდება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ყველა უნივერსიტეტში მისაწვდომობის ცენტრის პერსონალის პოზიციების სამუშაოს აღწერისა და ანალიზის პროცედურები ადგილობრივად უნდა ჩატარდეს. მთავარია უზრუნველყოფილი იყოს მიზნების და ამოცანების ეფექტიანად შესრულება. უმაღლესი განათლების ნებისმიერ დაწესებულებაში მისაწვდომობის ცენტრს დასჭირდება ერთი ან რამდენიმე მუდმივი თანამშრომელი (ზოგ პატარა უნივერსიტეტში შესაძლოა საკმარისი იყოს ერთი მუდმივ შტატში მყოფი ადამიანი, პირობითად ინკლუზიური განათლების კოორდინატორი). შშმ და სსსმ სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად, აუცილებელია, უნივერსიტეტმა მოიწვიოს და მომსახურების ან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაიქირავოს სპეციალისტები კონკრეტულ შემთხვევაში (მაგ. ჟესტური ენის თარჯიმანი, ორიენტაციისა და მობილობის ინსტრუქტორი, ბრაილის სისტემის სპეციალისტი, ასისტენტი, ტექსტის ამკრეფი და სხვა).

საერთაშორისო გამოცდილებით, მოწვეულ თანამშრომლებს შორის შესაძლოა იყვნენ (თუმცა არა მხოლოდ ისინი):

- ჟესტური ენისა და მეტყველების პედაგოგი;
- ჟესტური ენის თარჯიმანი (სურდოთარჯიმანი);
- ტექსტების ოპერატორი (მისაწვდომ ფორმატში გადამყვანი);
- ბრაილის სისტემის სპეციალისტი;

- წამკითხველი;
- უნივერსალური დიზაინის ექსპერტი;
- მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი;
- ასისტენტი;
- ნეიროფსიქოლოგი-კონსულტანტი;
- გამცილებელი;
- კომუნიკაციის სპეციალისტი;
- ოკუპაციური თერაპევტი
- გამცილებელ და ასისტენტ ცხოველთა სპეციალისტი;
- ვებ-დეველოპერი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი - სპეციფიკური პროგრამების გამოყენების კომპეტენციით;
- აუდიოაღწერის და აუდიო-წიგნების ჩაწერის სპეციალისტი; ციფრული ფორმატის კონსულტანტი;
- დამხმარე ტექნოლოგიების სპეციალისტი;

ტრანზიცია ზოგადიდან უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში

ზოგადი თუ პროფესიული განათლების სისტემიდან უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის პროცესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების კუთხით. რაც უფრო გამართული იქნება ტრანზიციის პროცესი, მით უფრო ეფექტიანად არის შესაძლებელი სტუდენტის დახვედრისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ტრანზიციის ფანჯარა საკმაოდ მოკლე პერიოდს მოიცავს, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ მოსამზადებელი სამუშაოების მოცულობას, რაც სასურველია ჩატარდეს სწავლის დაწყებამდე. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ამჟამინდელი ფორმის მიხედვით, სტუდენტებს დაახლოებით 1 თვე აქვთ გამოცდების საბოლოო შედეგების (ინფორმაცია ჩარიცხვისა და გრანტის მოპოვების

შესახებ) გამოცხადებიდან უნივერსიტეტში ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულებამდე/სწავლის დაწყებამდე. ზოგ შემთხვევაში კი ეს შუალედური პერიოდი მხოლოდ 2 კვირაა.

თავში *სპეციფიკური ჯგუფები და მათი საჭიროებები* განხილულია მიმართულებები, რა მიმართულებითაც საჭიროა ღონისძიებების გატარება მისაწვდომობის გაზრდის და თანასწორი ჩართულობის მიღწევის მიზნით. სტუდენტების განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, ტრანზიციის პროცესში განსხვავებული იქნება ამ მიმართულებების პრიორიტეტულობაც. მაგ. ზოგი სტუდენტისთვის სასწავლო მასალის ხელმისაწვდომ ფორმატში მომზადება იქნება აქტუალური, ზოგისთვის კი - ბარიერებისგან თავისუფალი ფიზიკური გარემოს დახვედრება, ზოგ შემთხვევაში კი შესაძლოა ტრანზიციის ეტაპზე მხოლოდ ლექტორების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობის დაგეგმვა გახდეს საჭირო.

სწორედ საჭიროებების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, ტრანზიციის ეტაპზე უნდა მოხდეს საჭიროებების შეფასება, სავარაუდო სირთულეების წამოჭრის რისკის შეფასება და სავარაუდო სამოქმედო გეგმის მომზადება.

დღეისათვის განსხვავდება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის ვადები და პროცედურები. შესაბამისად ტრანზიციის პერიოდიც მცირე თავისებურებებით შეიძლება განსხვავდებოდეს ამ სამ საფეხურზე. თუ რომელ საფეხურზე რა საშუალება არსებობს, რომ მოხდეს გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება სწავლის დაწყებამდე, ყველა უნივერსიტეტმა შიდა რეგულაციების (დებულებები) საფუძველზე უნდა განსაზღვროს.

რეკომენდებულია, რომ ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს სტუდენტს ჰქონდეს საშუალება მიუთითოს აქვს თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, შეზღუდული შესაძლებლობის რამე ფორმა და საჭიროებდა თუ არა ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიული განათლების დაწესებულებაში

ინდივიდუალური გეგმით სწავლებას (იქნება ეს აკომოდაცია თუ მოდიფიკაცია). სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის ქონა შეიძლება მიეთითოს როგორც სტუდენტის ელექტრონული სასწავლო ბარათში, ასევე ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს, უნივერსიტეტში საბუთების წარდგენისთანავე.

უმაღლესი განათლების მისაწვდომობის მოდელის მიხედვით, თუ სტუდენტს მისაწვდომობის გაზრდის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან ესაჭიროება გარკვეული ღონისძიებების გატარება, მან უნდა წარადგინოს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100, და/ან შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა და/ან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა, ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საატესტატო გამოცდაზე გასვლის ან პროფესიული განათლების პროგრამებში ჩართვის მიზნით.

ცნობის თუ სხვა დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ, ტრანზიციის ეტაპზე მნიშვნელოვანია მოხდეს კონკრეტული საჭიროებების განსაზღვრა კითხვარის ან ინტერვიუს საფუძველზე, როგორც ამა თუ იმ უმაღლესი განათლების დაწესებულების მისაწვდომობის ცენტრის დებულებით იქნება წინასწარ განსაზღვრული.

ტრანზიციის პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სასურველია შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის მოხდეს ინფორმაციის გაცვლა. ამისათვის საჭიროა თავად შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს ჰქონდეს სტუდენტის ინფორმირებული თანხმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა (და იმ აკომოდაციის შესახებ, რასაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი იყენებს საატესტატო, აბიტურიენტთა თუ მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთა გამოცდების დროს). ინფორმაცია უნდა გადაეცეს უნივერსიტეტს მას შემდეგ, რაც ჩარიცხვის საბოლოო შედეგები იქნება ცნობილი.

ტრანზიციის ეტაპზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტუდენტთან აქტიური კომუნიკაცია, არამედ შესაძლოა საჭირო გახდეს გარე კონსულტირება და კონკრეტული მიმართულებით კომპეტენციის მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საჭირო პერსონალის მოძიება, შერჩევა და დაქირავება (მაგ. ჟესტური ენის თარჯიმანი და სხვა).

ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს არც ის სტუდენტები, რომლებიც ამა თუ იმ სასწავლო საფეხურის განმავლობაში იცვლიან უნივერსიტეტს, საუნივერსიტეტო მობილობის საფუძველზე. სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე და/ან სტუდენტის ინფორმირებული თანხმობით, სტუდენტის მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნის მიხედვით, უნივერსიტეტი ვალდებულია, გასცეს შშმ/სსსმ სტუდენტის შესახებ არსებული ინფორმაცია. ასევე, მიმღებმა უნივერსიტეტმა, საჭიროების შესახებ შეტყობისთანავე, უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, სტუდენტის თანხმობით, სტუდენტის საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად.

კონფიდენციალობა და ეთიკის საკითხები

მისაწვდომობის ცენტრის მუშაობის პროცესში არაერთი ეთიკური საკითხი წარმოიშვება. კონფიდენციალობის დაცვა ერთერთი მთავარი გამოწვევაცაა და ვალდებულებაც. კონფიდენციალობის საკითხები აქტუალურია ტრანზიციის პერიოდში ინფორმაციის მოძიება-შეგროვების ღონისძიებებით დაწყებული (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისგან დოკუმენტაციის მიღება) ლექტორების ინფორმირებით დამთავრებული. კონფიდენციალობის საკითხები უნდა რეგულირდებოდეს საქართველოს კანონის მიხედვით ''პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ''. ხოლო პირადი ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გადაცემის, თუნდაც საჭიროებით გამოწვეული შიდა გაზიარების შესახებ (ლექტორების თუ საგამოცდო ცენტრისადმი გადაცემული ინფორმაცია), უნდა არსებობდეს დოკუმენტირებული ინფორმირებული თანხმობა სტუდენტის მხრიდან.

კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევები ხშირია ენთუზიაზმით გულანთებული თანამშრომლების მუშაობის პროცესში, როდესაც სრულიად გაუაზრებლად ხდება იმ ინფორმაციის გამჟღავნება, რაც დისკომფორტს უქმნის სსსმ თუ შშმ სტუდენტს. თუ ესა თუ ის მდგომარეობა ვიზუალურად გამოხატულია და ადვილი შესამჩნევია (მაგ. ეტლით მოსარგებლე სტუდენტი), მაშინ რიგი საკითხები ისედაც ნათელი და თვალსაჩინოა, თუმცა ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, პატივი ვცეთ სტუდენტის პირად ავტონომიას. განსაკუთრებით დიდი სიფრთხილეა საჭირო, თუ მდგომარეობა ფარულია და მარტივი არაა მისი შემჩნევა (ფსიქო-ემოციური სირთულეები, ეპილეფსია, სწავლის უნარის დაქვეი\თება ან სხვა). ამ კატეგორიის სტუდენტებისთვის შესაძლოა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყოს, რომ ამის შესახებ არ გახდეს ცნობილი სხვა სტუდენტებისთვის და ზოგ შემტხვევაში - ლექტორებისთვისაც.

ეთიკური ნორმები ირღვევა ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც მობილობის შეზღუდვის მქონე ადამიანის დახმარებას ცდილობენ და მას ფიზიკურად ეხებიან, მაგ. ეტლით მოსარგებლე სტუდენტის ხელში აყვანა და ისე გადაადგილება, უსინათლო სტუდენტისთვის ხელის ხელზე ან ხელჯოხზე ჩავლება გადაადგილების მიზნით და სხვა.

ლექტორების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება

ლექტორები ის რგოლია, რომელსაც პირდაპირ უწევს მუშაობა სტუდენტთან. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ მათი მხრიდან ხდებოდეს სწორი კომუნიკაცია, ღირსეული მოპყრობა, საჭიროების შესაბამისი სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის შერჩევა და დროული რეფერირება.

შესაძლოა მოხდეს ისე, რომ ლექტორი იყოს ის ადამიანი, რომელმაც პირველად შენიშნოს აქამდე არაიდენტიფიცირებული სირთულეები. ამის შესახებ უნდა დაუკავშირდეს მისაწვდომობის ცენტრს და მოახდინოს თანამშრომლობის ინიცირება.

ლექტორების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება შეიძლება უკავშირდებოდეს კონკრეტულ შემთხვევას და კონკრეტული სტუდენტის საჭიროებებს, თუმცა უმჯობესია, თუ გატარდება ზოგადი ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული სტუდენტების ინკლუზიური განათლების შესახებ. უნივერსიტეტის ზომიდან და თანამშრომლების რაოდენობიდან გამომდინარე, სასწავლებელმა თავად უნდა შეარჩიოს შესაბამისი სტრატეგია. საქართველოში გარკვეული უნივერსიტეტები პერიოდულად ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს და ტრენინგებს ინკლუზიური განათლების შესახებ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

შესაძლოა ლექტორს პროფესიული მოღვაწეობის მანძილზე სულ ერთხელ შეხვდეს კონკრეტული საჭიროების მქონე სტუდენტი. შესაბამისად, ლექტორის წინასწარი მზაობა და სრულად ინფორმირებულობა ვერ იქნება მოთხოვნილი. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მისაწვდომობის ცენტრის როლი და ჩართულობა, რათა წინასწარ შექმნას მზაობა, ლექტორებს ჩამოუყალიბოს სწორი, ინკლუზიური ხედვა და შემდეგ პროცესშიც უზრუნველყოს ლექტორს და სტუდენტს, სტუდენტს და ადმინისტრაციას, ლექტორს და ადმინისტრაციას შორის კონსტრუქციული, ეფექტიანი კომუნიკაცია.

ფინანსური მხარე

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბუნებრივია, დასჭირდებათ გარკვეული ხარჯის გაწევა შშმ და სსსმ სტუდენტებისათვის ხარისხიანი, მისაწვდომი და ინკლუზიური განათლების შესათავაზებლად. ამ კუთხით, შესაძლოა, ხარჯები პირობითად გაიყოს ორ კატეგორიად: მუდმივი და სიტუაციური. მუდმივ ხარჯებში ერთიანდება, მაგ., მისაწვდომობის ცენტრის მუდმივი თანამშრომლების ხელფასები, სტუდენტებისა და ლექტორების ცნობიერების ამაღლებაზემიმართული ღონისძიებების ხარჯები. ხოლო სიტუაციურ ხარჯებად შეიძლება მოვიაზროთ,

მისაწვდომობის ცენტრის მოწვეული თანამშრომლების ხელფასები (ჟესტური ენის სპეციალისტი, ასისტენტი, ბრაილის სისტემის სპეციალისტი და სხვა), დამხმარე აღჭურვილობის შესყიდვა, ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის გაზრდაზე მიმართული ღონისძიებები, და მისთ. უნივერსიტეტებმა, შემდეგი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, უნდა გაითვალისწინონ მისაწვდომობის ცენტრის მუდმივი ხარჯები და შესაბამისად გაანაწილონ საკუთარი ბიუჯეტი. თუმცა საჭიროა, არსებობდეს მექანიზმები, რომლებიც შესაძლებელს გახდის, სასწავლო წლის დასაწყისში ან მის განმავლობაში წარმოშობილი საჭიროებების უზრუნველყოფასაც. საჭირო ფინანსური რესურსების მოსაძიებლად, უნივერსიტეტებს, საკუთარი ბიუჯეტის გარდა, საშუალება აქვთ, ითანამშრომლონ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ფონდებთან, ადგილობრივ თუ უცხოურ ბიზნესთან, საჭირო სახსრების მოსაძიებლად. საერთაშორისო დონორები, ხშირად, ფინანსურე რესურსის გარდა, ექსპერტულ მომსახურებასაც სთავაზობენ ხოლმე გრანტის მიმღებებს, რაც ერთი ორად აამაღლებს საუნივერსიტეტო განათლების მისაწვდომობის ხარისხს შშმ და სსსმ სტუდენტებისათვის. ამ მხრივ, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დაფიანანსების გარე წყაროების ვერ მოძიების შემთხვევაში, უნივერსიტეტს არ აქვს უფლება, თავიდან აირიდოს სტუდენტებისა საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება. მათ ყველა ღონე უნდა იხმარონ, შიდა რესურსებში გამოძებნონ საშუალება, რათა მაქსიმალურად დროულად და მაღალი ხარისხით უპასუხონ შშმ და სსსმ სტუდენტების მოთხოვნებსა თუ საჭიროებებს.

ამ მხრივ, გამონაკლისს შესაძლოა წარმოადგენდეს უნივერსიტეტში ფიზიკური გარემოს უნივერსალური დიზაინით მოწყობა. აუცილებელია, ავტორიზაციის წესით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, თუმცა უნივერსალური დიზაინის უზრუნველყოფა, შესაძლოა, დაიყოს საფეხურებად, გაიწეროს რამდენიმე თვეზე ან წელიწადზე, გონივრულობის ფარგლებში და ცვლილებები გარემოში ეტაპობრივად განხორციელდეს. თუმცა სავალდებულოა, რომ

ამან ხელი არ შეუშალოს რომელიმე სტუდენტის დამოუკიდებელ ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში. საჭიროა, სტუდენტის მიერ არჩეული თუ სავალდებულოდ გასავლელი საგნების ლექცია-სემინარები და პრაქტიკული მუშაობა ჩატარდეს მეტად მისაწვდომ შენობაში და/ან აუდიტორიებში. გასათვალისწინებელია, რომ ბიბლიოთეკა, სანიტარული კვანძები, ბუფეტი, ადმინისტრაციის სტუდენტებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი ნაწილი აუცილებლად მისაწვდომი უნდა იყოს შშმ სტუდენტებისათვის, უმოკლეს ვადებში.

შენობის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფის ხარჯების გათვალისწინება უნდა მოხდეს ამა თუ იმ შენობის აშენების და/ან რემონტის დროს. ეს მნიშვნელოვნად დაზოგავს ფინანსებს და უზრუნველყოფს მისაწვდომობის უფრო მაღალ ხარისხს, ვიდრე ცალკე გატარებული ღონისძიებები. თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში, თუ უახლოეს პერიოდში არ იგეგმება რემონტი, საჭიროა, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღოს ზომები, სტუდენტების მინიმალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მაინც, მაგ., დაამაგროს კარებზე წარწერები ბრაილისა და გაზრდილი შრიფტით, შეცვალოს განათება, დაამონტაჟოს მოაჯირები სანიტარულ კვანძებში და სხვა.

აუცილებელია, უნივერსიტეტი ზრუნავდეს საკუთარი ვებგვერდების მისაწვდომობაზე, როგორც შექმნის პროცესში, ასევე, მისი მართვის დროს. ასევე, მისაწვდომი უნდა იყოს ყველა ელექტრონული რესურსი, რომელსაც უნივერსიტეტი იყენებს. ამასთან, უნივერსიტეტი გამუდმებით უნდა ზრუნავდეს სასწავლო რესურსების ალტერნატიული ფორმატით მომზადებაზე, რადგან ეს პროცესი საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. მასალების მისაწვდომ ფორმატში მომზადება თუ მას შემდეგ დაიწყება, რაც სტუდენტი ჩააბარებს და/ან ამა თუ იმ საგანს აირჩევს, შესაძლოა, სემესტრის ბოლომდე ვერც კი მოესწროს სტუდენტისათვის მისაწვდომი მასალების მიწოდება. გარდა ამისა, მასალის ალტერნატიულ ფორმატში არსებობა ხელს

შეუწყობს, ზოგადად, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც სპეციალურისაჭიროების გარეშეც, ადამიანებს ურჩევნიათ, მოისმინონ ესა თუ ის სასწავლო მასალა, წაიკითხონ ელექტრონულ ფორმატში, უყურონ და უსმინონ აუდიო ჩანაწერს სუბტიტრებით და სხვა.

ამგვარი ღონისძიებების გატარება, გარკვეულ ფინანსებს საჭიროებს, რომლის გამოყოფაზეც უნივერსიტეტმა უნდაიზრუნოს ბიუჯეტის დაგეგმვის დროს.

იმედი გვაქვს, მისაწვდომობის ცენტრის ეს კონცეპტუალური დოკუმენტი დაეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შექმნან მისაწვდომობის ცენტრი, უზრუნველყონ ცენტრის ეფექტიანი მუშაობა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის ხარისხიანი ინკლუზიური განათლების მიწოდება.

რესურსები და სასარგებლო ბმულები:

https://www.ahead.org/home

https://atcoalition.org

https://www.european-agency.org/

Rider University Academic Disabilicy Policy

Brigham Young University Accessibility Center

University of Meryland Accessibility Hub

Yale University Resource Office Policy, A GUIDE FOR ACCOMMODATING STUDENTS WITH DISABILITIES

Inclusive Higher Education for Students with Disabilities in China (Yuexin Zhang, Sandra Rosen, Li Cheng & Jingshan Li)

Harvard University Disability Services (UDS)

Clemson University's Accessibility Policy

The Office of Disability Services at Wilmington University (students with special needs handbook 2018-2019)

Center for Student Accessibility at Eastern Kentucky University

University of Petras, ''Inclusive Education in Higher Education''

European Agency for Special Needs and Inclusive Education, MULTI ANNUAL WORK PROGRAMME 2014–2020

გაერთიანებული ერების კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2006;

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თბილისი საქართველო;

საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, თბილისი, საქართველო 2010

დანართები

დანართი N1

ინფორმირებული თანხმობის ფორმა

გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრისთვის

(ნიმუში)

თუ გაქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან ხართ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც თქვენ ისწავლით, ვალდებულია, გაითვალისწინოს თქვენი საჭიროებები და შეგიქმნათ მისაწვდომი საგანმანათლებლო გარემო. ეს გულისხმობს: ფიზიკური გარემოს მორგებას, სასწავლო რესურსების მისაწვდომ ფორმატში მოწოდებას, ლექტორებისათვის ინფორმაციის მიწოდებას და სხვა საჭირო ღონისძიებებს, თქვენი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. თუმცა არ იგულისხმება სასწავლო პროგრამებისა და რესურსების გამარტივება. თუ სტუდენტს აქვს შეზღუდული შესაძლებლობა ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ამის შესახებ თავად უნდა აცნობოს უნივერსიტეტს ჩარიცხვის შემდეგ. თუმცა წინასწარი თანხმობის შემთხვევაში, ცენტრი ინფორმაციას გადასცემს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა დროულად გატარდეს მოსამზადებელი პროცედურები.

თუ თანახმა ხართ, თქვენი სპეციალური საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია გადაეცეს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც თქვენ ჩაირიცხებით, გთხოვთ შემოხაზოთ შესაბამისი პასუხი. გაითვალისწინეთ, რომ თუ თქვენ გაქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და/ან შეზღუდული შესაძლებლობა, მაგრამ ამის შესახებ არ გსურთ ეცნობოს თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დაგვიანდეს ან ვერ მოხერხდეს თქვენთვის საჭირო მომსახურების მოწოდება.

1. გაქვთ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან შეზღუდული შესაძლებლობა?

   ა) დიახ; ბ) არა.

2.

ა) თანახმა ვარ, ჩემი სპეციალური საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია გადაეცეს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც მე ჩავირიცხები;

ბ) არ ვარ თანახმა, ჩემი სპეციალური საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ, ინფორმაცია გადაეცეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც მე ჩავირიცხები.

დანართი N2

ინფორმირებული თანხმობის ფორმა (ნიმუში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

თუ გაქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან ხართ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც თქვენ ისწავლით, ვალდებულია, გაითვალისწინოს თქვენი საჭიროებები და შეგიქმნათ მისაწვდომი საგანმანათლებლო გარემო. ეს გულისხმობს: ფიზიკური გარემოს მორგებას, სასწავლო რესურსების მისაწვდომ ფორმატში მოწოდებას, ლექტორებისათვის ინფორმაციის მიწოდებას და სხვა საჭირო ღონისძიებებს, თქვენი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე. თუმცა არ იგულისხმება სასწავლო პროგრამებისა და რესურსების გამარტივება.

გაითვალისწინეთ, რომ თუ თქვენ გაქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და/ან შეზღუდული შესაძლებლობა, მაგრამ ამის შესახებ არ გსურთ ეცნობოს თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დაგვიანდეს ან ვერ მოხერხდეს თქვენთვის საჭირო მომსახურების მოწოდება.

1. გაქვთ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან შეზღუდული შესაძლებლობა? მაგალითად, მობილობის შეზღუდვა, მოტორიკის დარღვევა, მხედველობის დაქვეითება, სმენის დაქვეითება, ფსიქოსოციალური საჭიროება, წერა-კითხვის სირთულეები, აუტისტური სპექტრი.

ა) დიახ; ბ) არა.

2. გთხოვთ, დააკონკრეტოთ რა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება გაქვთ ან რა ნიშნით ფლობთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს.

_____
_____
_____
_____